



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

მიხეილ შენგელია

ცემენტის მარკის დადგენა ევროპული ნორმების შესაბამისობით ადგილობრივ ქვიშაზე

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა მშენებლობა

შიფრი 0732

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 0160, საქართველო

2022 წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი სამშენებლო

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მიხეილ შენგელიას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: ცემენტის მარკის დადგენა ევროპული ნორმების შესაბამისობით ადგილობრივ ქვიშაზე და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო, ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-----, ----- 2022 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი არჩილ ჩიქოვანი

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022 წ

ავტორი: მიხეილ შენგელია

დასახელება : ცემენტის მარკის დადგენა ევროპული ნორმების შესაბამისობით

ადგილობრინ ქვიშაზე

სადოქტორო პროგრამა: მშენებლობა

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა _____

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

წარმოდგენილ სადოქტორო ნაშრომში განხილულია, ცემენტის მარკის დადგენა ადგილობრივ საქართველოს რეგიონებში არსებულ ქვიშებზე.

თანამედროვე პერიოდში ცემენტი არის ძირითადი საშენი მასალა ნებისმიერი დარგის მშენებლობაში.

თემის სიახლე და აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მონაწილეობით მიღებულია სტანდარტული ქვიშა ცემენტის მარკის დასადგენად, შესწავლილია შემკვებები და დანამატები, რომელთა გამოყენებაც განაპირობებს ბეტონის და რკინაბეტონის მაღალ ტექნიკურ თვისებებს, გარდა ამისა ჩვენი მონაწილეობით მიმდინარეობდა და ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში ცდები და კვლევები საქართველოში არსებული ქვიშების გამოყენებით. სწორედ ამ კვლევებით დამზადებული ცემენტის ძელაკების და რაციონალური ტექნოლოგიური პროცესების უზრუნველყოფა წარმოადგენს საკვლევი თემატიკის მეცნიერულ სიახლეს და აქტუალობას.

კვლევების საფუძველზე, ჩვენი მონაწილეობით დადგენილ იქნა ცემენტის სიმტკიცეები, გარდა ამისა გამოკვლეული იქნა ამ ცემენტის ჰიდრაციის პროცესი რამაც 28 დღე-დამის ასაკში შეადგინა ცემენტის საბოლოო რაოდენობის 40–50 %. როგორც ცნობილია დარჩენილი ნაწილი ჰიდრატირდება 2–3 ათეული წლის განმავლობაში, თუ ნაკეთობები იმყოფებიან ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში, რაც იწვევს ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობების სიმტკიცის ზრდას 1,5 – 2-ჯერ.

ქართველ მეცნიერებს შორის ცემენტის წარმოების ტექნოლოგიაში დიდი წვლილი მიუძღვით გიორგი ცისკრელს, პეტრე წულუკიძეს, გიორგი ქარცივაძეს, შიო ნაფეტვარიძეს, ანზორ ნადირაძეს და სხვებს.

კვლევის საფუძველზე დადგენილი იქნა ქვიშის გრანულო-მეტრული შედგენილობა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებები: სიმკვრივე, მოცულობითი მასა, ტენიანობა, ცარიელობა და მავნე მინარევების

შემცველობა. შესაბამისად დადგენილი იქნა, რომ ეს მასალები მათი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტის გოსტ – 8735–88 „ქვიშა სამშენებლო სამუშაოებისათვის“ მოთხოვნებს.

ამ კვლევებმა საშუალება მოგვცა გავცნობოთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქვიშებს, რაც გვაძლევს საშუალებას რომ ეს მასალა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ცემენტის მარკის დასადგენად.

საერთო ჯამში ჩატარებული კვლევების შედეგად მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი.

Abstract

The presented doctoral thesis deals with the determination of the cement brand on the sands in the local regions of Georgia.

In the modern period, cement is the main building material in the construction of any field.

The novelty and relevance of the topic lies in the fact that, with our participation, a new high-quality quick-setting cement was obtained, fillers and additives were studied, the use of which determines the high technical properties of concrete and reinforced concrete, in addition, with our participation, tests and researches using the sands in Georgia were carried out and conducted in the laboratory of the Technical University of Georgia. . It is the provision of rational technological processes made by these studies that represents the scientific novelty and relevance of the research topic.

On the basis of researches, quick-setting cement was obtained with our participation, in addition, the hydration process of this cement was investigated, which made 40-50% of the total amount of cement at the age of 28 days. In our opinion, the remaining part hydrates for 2-3 decades if the products are under normal operating conditions, which leads to an increase in the strength of concrete and reinforced concrete products by 1.5-2 times.

Among Georgian scientists, Giorgi Tsiskreli, Petre Tsulukidze, Giorgi Kartsivadze, Shio Nafetvaridze, Anzor Nadiradze and others made a great contribution to cement production technology.

Based on the research, the granulometric composition and physical-mechanical properties of both cement and sand were determined: density, volumetric mass, humidity, voids and the content of harmful impurities. Accordingly, it was established that these materials with their physical and technical properties correspond to the requirements of the state standard GOST-8735-88 "Sand for construction works".

These studies allowed us to get acquainted with the sands in the territory of Georgia, which allows us that this material can be used to determine the cement brand.

Overall, as a result of the conducted research, a significant economic effect was achieved.

შინაარსი

შესავალი.....	14
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა	17
თავი 2. კვლევა, შედეგები და მათი განსჯა შემკვრელი და დანამატები.....	19
2.1. ცემენტის გამყარების თვისებები -----	19
2.2 ცემენტის სიმტკიცის ასპექტები.....	24
თავი 3. ექსპერიმენტული სამუშაოს მეთოდოლოგია	52
3.1 ცემენტის ფიზიკური-მექანიკური კვლევები -----	52
3.2 საქართველოში არსებული კარიერების მიერ წარმოებული ქვიშის -----	54
თვისებების კვლევა-----	54
დასკვნა.....	126
გამოყენებული ლიტერატურა.....	128

ცხრილების ნუსხა

ცხრილი N2.1	26
ცხრილი 2.2.....	27
ცხრილი 2.3.....	29
ცხრილი 2.4.....	39
ცხრილი 2.5.....	45
ცხრილი 2.6.....	46
ცხრილი 3.1.....	53
ცხრილი 3.2.....	54
ცხრილი 3.3.....	55
ცხრილი 3.4.....	56
ცხრილი № 3.5	57
ცდა 1, ცხრილი № 3.6.....	59
ცდა 12, ცხრილი № 3.7.....	59
ცხრილი 3.8.....	60
ცხრილი 3.9.....	61
ცხრილი №3.10	62
ცხრილი №3.11	63
ცდა 1, ცხრილი № 3.12.....	65
ცდა 12, ცხრილი № 3.13.....	65
ცხრილი 3.14.....	66
ცხრილი 3.15.....	67
ცხრილი 3.15.....	68
ცხრილი № 3.16	69
ცდა 1, ცხრილი № 3.17.....	71
ცდა 12, ცხრილი № 3.18.....	71
ცხრილი 3.19.....	72
ცხრილი 3.20.....	73
ცხრილი №3.21	74
ცხრილი № 3.22	75
ცდა 1, ცხრილი № 3.23.....	77
ცდა 12, ცხრილი № 3.24.....	77
ცხრილი 3.25.....	78

ცხრილი 3,26	79
ცხრილი №3,27	80
ცხრილი № 3.28	81
ცდა 1, ცხრილი № 3.29	83
ცდა 12, ცხრილი №3.30	83
ცხრილი 3.31	84
ცხრილი 3,32	85
ცხრილი №3.33	86
ცხრილი № 3.34	87
ცდა 1, ცხრილი № 3.35	89
ცდა 2, ცხრილი № 3.36	89
ცხრილი 3.37	90
ცხრილი 3.38	91
ცხრილი №3.39	92
ცხრილი № 3.40	93
ცდა 1, ცხრილი № 3.41	95
ცდა 12, ცხრილი № 3.42	95
ცხრილი 3.43	96
ცხრილი 3.43	97
ცხრილი №3.44	98
ცხრილი № 3.45	99
ცდა 1, ცხრილი № 3.46	101
ცდა 12, ცხრილი № 3.47	101
ცხრილი 3.48	102
ცხრილი №3,50	104
ცხრილი № 3.51	105
ცდა 1, ცხრილი № 3.52	107
ცდა 2, ცხრილი № 3.53	107
ცხრილი 3.54	109
ცხრილი №3.55	110
ცხრილი № 3.56	111
ცდა 1, ცხრილი № 3.57	113
ცდა 2, ცხრილი №3.58	113

ცხრილი 3.59	114
ცხრილი 3.60	115
ცხრილი №3.61	116
ცხრილი № 3.62	117
ცდა 1, ცხრილი № 3.63	119
ცდა 2, ცხრილი № 3.64	119
ცხრილი 3.65	120
ცხრილი 3.66	121
ცხრილი №3.67	122
ცხრილი № 3.67	123
ცდა 1, ცხრილი № 3.68	125
ცდა 2, ცხრილი № 3.69	125

ნახაზების ნუსხა

ნახ. 2.1 ცემენტის კოლოდაციის პერიოდი.....	20
ნახ. 2.2 ცემენტის კრისტალიზაციის პერიოდი	21
ნახ.2.3 გამყარებული ცემენტის ქვა.....	22
ნახ. 2.4. 3 დღე–ღამის ასაკში გამყარებული ბეტონის სტრუქტურული სქემა	23
ნახ. 2.5. ცემენტის სინჯამლები დიდი ტევადობიდან	48
(ვაგონი, ცემენტმზიდი და ა.შ.) სიგრძე L = 1000 – 2000 მმ;	48
დიამეტრი 40მმ	49
ნახ. 2.6. სინჯის ასალები ჩამჩა: დიამეტრი – 200 მმ,.....	49
სიღრმე – 150 მმ, სახელურის სიგრძე – 180 მმ	49
ნახ. 2.7. მექანიკური შნეკური სინჯამლები:.....	49
1 – 60 მმ დიამეტრის მილი; 2 – შნეკი; 3 – შნეკის ბოლო,	49
რომელიც ცემენტში ჩაძირვისას მოქმედებს როგორც.....	49
წერტილოვანი ზონდი; 4 – განმტვირთი ღარი; 5 – ელექტრო-	49
ძრავი; საერთო სიგრძე დაახლოებით 2000 მმ.....	49
ნახ. 2.8. სტაციონარული მექანიკური შნეკური სინჯამლები:	49
1 – მილი; 2 – შნეკი; 3 – ცემენტის შესასვლელის ხვრეტი;	49
4 – განმტვირთავი ღარი; 5 – მრუდკოტა სახელური (ან.....	49
ალტერნატიული ელექტროძრავის ამძრავი)	50
ნახ. 2.11. ლაბორატორიული ნიმუშების მომზადება 4 ნაწილად დაყოფის მეთოდით: X, Y, Z – ლაბორატორიული ჭურჭელი	51
ნახ. 3.1 ანანურის კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი	55
ნახ.3.2 ანანურის კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი ევროპული სტანდარტით EN 933-2 მიხედვითმიხედვით	56
ნახ 3.3. ქვიშის გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი	57
ნახ.3.5. ალაიანის კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი EN 933-2. 61	
ნახ.3.6. ალაიანის კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი ГОСТ 8735- 88-ის მიხედვით.....	61
ნახ. 3.7. ქვიშის გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი	63
ნახ.3.8 იმირის კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი EN 933-2 მიხედვით	67
ნახ. 3.9 . ქვიშის გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი	69
ნახ.3.10 ელიტ ბილდერის კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი	

EN 933-2 მიხედვით.....	73
ნახ. 3.11 ელიტ ბილდერის კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი ГОСТ 8735-88-ის მიხედვით	73
ნახაზი 3.12. ქვიშის გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი	75
ნახ.3.13 მტკვრის (საბადოს) კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი EN 933-2 მიხედვით.....	79
ნახ.3.14 მტკვრის (საბადოს) კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი 8735-88 მიხედვით	79
.....	81
ნახ. 3.15. ქვიშის გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი	81
ნახ.3.16 ხრამის (წითელი ხიდის მდ.) კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი EN 933-2 მიხედვით	85
ნახ.3.17 ხრამის (წითელი ხიდის მდ.) კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი ГОСТ 8735-88-ის მიხედვით.....	85
ნახ.3.19 თბილცემენტის (მტკვრის) ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი EN 933-2 ის მიხედვით.....	91
ნახ.3.20 თბილცემენტის (მტკვრის) ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი ГОСТ 8735-88-ის მიხედვით	91
ნახაზი 3.21. ქვიშის გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი	93
ნახ.3.22 არაგვისპირის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი EN 933-2 მიხედვით	97
ნახ.3.23 არაგვისპირის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი ГОСТ 8735-88 მიხედვით	97
ნახაზი 3.24. ქვიშის გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი	98
ნახ.3.25 იორის (საგარეჯო) სამსხვრევით მიღებული ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი EN 933-2 მიხედვით	103
ცხრილი 3.50.....	103
ნახ.3.26 იორის (საგარეჯო) სამსხვრევით მიღებული ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი ГОСТ 8735-88-ის მიხედვით.....	103
ნახაზ 3.27. ქვიშის გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი.....	104
ნახ.3.28 იორის (საგარეჯო) ბუნებრივი ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი EN 933-2 მიხედვით.....	109
ნახ.3.29 იორის (საგარეჯო) ბუნებრივი ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი ГОСТ 8735-88 მიხედვით.....	109
ნახ. 3.30. ქვიშის გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი	111
ნახ.3.31 ძეგვის კარიერის ქვიშის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი EN 933-2 მიხედვით	115

ნახ.3.32 ქეგვის კარიერის ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი ГOCT 8735-88 მიხედვით	115
ნახაზ 3.33. ქვიშის გრანულომეტრიული შედგენილობის გრაფიკი	116
ნახ.3.34 ფოცხოვი ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი EN 933-2 მიხედვით	121
ნახ.3.35 ფოცხოვი ქვიშის გრანულომეტრიული მრუდი ГOCT 8735-88 მიხედვით	121

შესავალი

სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება ცემენტის ძირითადი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრის სხვადასხვა მეთოდი: სიმტკიცე, წყალმოთხოვნილება, შეკვრის ვადები, მოცულობის ცვლილების თანაბარზომიერება, რომლებიც გვაძლევენ განსხვავებულ შედეგს ერთი და იგივე ცემენტის გამოცდისას. ამჟამად ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტმა (CEN) მიიღო ევროპული სტანდარტი EN 196, რომელიც არეგულირებს EC ქვეყნებისათვის გამოცდის ერთიან მეთოდებს, ცემენტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად, პლასტიკურ დუღაბში, პოლიფრაქციული ქვიშის და სპეციალური მოწყობილობების გამოყენებით. აქამდე ქვეყანაში ნორმატიული ბაზა დაფუძნებული იყო ცემენტის იმ მახასიათებლებზე, რომლებიც მიიღებოდა უფრო ხისტ მონოფრაქციულ ქვიშაზე დამზადებულ ნიმუშებზე. ცემენტი ეწოდება მასალას ადჰეზიური და კოჰეზიური თვისებებით, რომელსაც შეუძლია ერთ მთლიან მონოლითად შეაერთოს ცალკეული მინერალური მარცვლები. ასეთი განმარტება მოიცავს სხვადასხვა შემკვრელი ნივთიერებების დიდ რაოდენობას.

მშენებლობისათვის ტერმინი „ცემენტი“ მნიშვნელობა განსაზღვრულია შემკვრელი ნივთიერებით და გამოიყენება ქვის მასალის, ქვიშის, აგურის ბლოკის და სხვა შესაერთებლად.

ბეტონებისათვის გამოიყენება შემკვრელი ნივთიერება, რომელსაც უნარი აქვს შეიკრას და გამაგრდეს წყალში, მასთან ქიმიური რეაქციის შედეგად.

ჰიდრავლიკური შემკვრელები შედგებიან ძირითადად კალციუმის სილი-კატებისა და ალუმინატებისაგან, მათ მიეკუთვნება რომანცემენტი, პორტლანდ-ცემენტი, თიხა-მიწოვანი ცემენტი და სხვ.

შემკვრელი ნივთიერების გამოყენებას აქვს დიდი ხნის ისტორია. ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ გამომწვარ ბუნებრივი თაბაშირის ქვას. ბერძნებმა და რომაელებმა დაიწყეს გამომწვარი კირქვის გამოყენება, შემდეგ ისწავლეს კირსა და წყალზე დაემატებინათ ქვიშა, დამსხვრეული ქვა ან

აგური და დამტვრეული ნატეხარა. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში პირველი ბეტონი.

კირის დულაბი არ მაგრდება წყალში, ამიტომ რომაელებმა წყალქვეშა მშენებლობისათვის გამოიყენეს ერთად დაფქული კირი და ვულკანური ფერფლი ან გამომწვარი თიხის ნატეხარა. ვულკანურ ფერფლსა და თიხაში არსებულმა აქტიურმა კაჟ-მიწამ და თიხამიწამ, საშუალება მისცა მიეღოთ შემკვრელი, რომელსაც შემდეგ უწოდეს „პუცოლანური ცემენტი“.

ძველი რომის მთელ რიგ ნაგებობებში, როგორცაა რომის კოლიზეუმში ან ხიდი ჰარდი, ცემენტის დულაბმა, რომლითაც გაკეთებული იყო ქვის წყობა. ჩვენს დღეებამდე შეინარჩუნა დიდი სიმტკიცე.

შუა საუკუნეების უძრავობის პერიოდის შემდეგ მხოლოდ XVIII საუკუნეში აღინიშნა ცოტაოდენი პროგრესი. 1756 წელს ჯონ სმიტონმა ედისტონის შუქურის გადაკეთების დროს აღმოაჩინა, რომ მშენიერი დულაბი მიიღება პუცოლანური კომპონენტის შერევით ისეთ კირთან, რომელიც მიღებულია თიხის დიდი შემცველობის კირქვისაგან.

სმიტონი იყო პირველი ვინც შეაფასა ჰიდრავლიკური კირის ქიმიური აქტიურობა. შემდეგ ჯოსეფ პარკერმა მიიღო რომანცემენტი თიხამიწოვანი კირქვის გამოწვით. 1824 წელს კი ინგლისელმა კალატოზმა ჯოსეფ ასპდინმა მიიღო პატენტი პორტლანდცემენტის გამოგონებაზე. თითქმის მასთან პარალელურად რუსეთში ეგორ ჩელიევემა (წარმოშობით ჭელიძე) გამოაქვეყნა ცემენტის მიღების წესი. ცემენტი მიღებული იქნა წმინდად დაფქული კირქვის და თიხის ნარევის გამოწვით, ნახშირორჟანგის გამოყოფის ტემპერატურამდე. მაგრამ ეს არ იყო შეცხოების საკმარისი ტემპერატურა (1450°C), რომელიც საჭიროა კლინკერის მისაღებად.

თანამედროვე ცემენტის პროტოტიპი დაამზადა 1845 წელს ინგლისელმა ისააკ ჯონსონმა, რომელმაც მიიყვანა თიხის და ცარცის ნარევი შეცხოვამდე, როდესაც ხდება კლინკერის წარმოქმნის რეაქცია.

დასახელება პორტლანდცემენტი თავდაპირველად მან მიიღო დორსეტში მოპოვებულ პორტლანდის ქვასთან-კირქვასთან მსგავსების გამო.

ეს სახელი შენარჩუნებულია დღემდე, პორტლანდცემენტი ეწოდება შემკვრელ ნივთიერებას, რომელიც მიიღება გულმოდგინედ არეული ნედლეულისაგან, შედგება კირქვისა და თიხის ან სხვა მასალებიდან და შეიცავს კაჟმიწას და რკინის ჟანგეულებს.

ახალი ტექნოლოგიების XXI საუკუნემ ადამიანებს მისცა საშუალება დაეხვეწათ მასალის თვისებები.

შემკვრელი ნივთიერების პალიტრა ძალიან ფართოა, წარმოდგენილია ასობით დასახელების სხვადასხვა მახასიათებლებით, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლება თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენების გზით.

ნაშრომის მიზანია დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს გააცნოს ევროპული სამშენებლო ნორმების ძირითადი დებულებები, ცემენტებისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები, გამოცდის მეთოდები და გამოვიყენოთ ჩვენს მიერ გამოკვლეული სტანდარტული ქვიშა ცემენტის მარკის დასადგენად, ნაცვლად რუსეთიდან შემოტანილი ვოლგის და ევროპული ქვიშისა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ მასალების ხარისხი.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისას გამოყენებული იქნა, ისეთი ცნობილი მეცნიერების ნაშრომები და კვლევები როგორცაა: ა. ჟურავლიოვი, ვ. ოკოროკოვი, პ.რებინდერი, გ.ი. გორჩაკოვის, გ.კრილოვის, ვ.ი. კროპოტოვის, ვ.ე. იასპევიჩის, ა.გ. კომარის, ვ.გ. მიკულსკის, ი.გ. ბარბანშიკოვის, ი.ლ. ზნაჩკო-იავორსკის გ. წითელაურის, გ. ცისკრელის, პ. წულუკიძის, გ. ქარცივაძის, ა. ნადირაძის და სხვა.

შემკვრელი ნივთიერებები შედგენილობის, თვისებების და გამოყენების მიხედვით იყოფა არაორგანულ და ორგანულ ნივთიერებებად.

არაორგანული შემკვრელი ნივთიერებები წარმოადგენს ფხვნილისებს მასალას. წყალთან ადუღაბებისას ისინი თხევადი, ან პლასტიკური ცომის მდგომარეობიდან გადადიან ქვისებრ მდგომარეობაში. შემკვრელი ნივთიერებები გამოიყენება მარცვლოვანი მასალების ან ცალობითი ნაკეთობების დასაკავშირებლად, ამაზეა დამყარებული სამშენებლო დუღაბის, ბეტონის და სხვადასხვა ხელოვნური ქვის დამზადება.

არაორგანული შემკვრელი ნივთიერებები ძირითადი თვისებებისა და შედგენილობის მიხედვით იყოფა ჰაერულ, ჰიდრავლიკურ და ავტოკლავურ გამყარების შემკვრელებად.

ცემენტის ჰიდრატაციის საკითხის შესწავლას მიემდვნა უამრავი შრომა. ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეცა ამ ნაშრომების ძირითადი არსი.

პორტლანდცემენტის აღმოჩენა რევოლუციური მნიშვნელობის მოვლენაა და მის პირველ აღმომჩენად ინგლისელი ჯოზეფ ასპდინი ითვლება. მან 1824 – 1825 წლებში გამოიგონა პორტლანდცემენტი. ამასთან მას მიღებული აქვს პატენტი პორტლანდცემენტის გამოგონებაზე ქალაქ პარიზში. საამაყოა ის რომ ასპდინის პარალელურად იმავე პერიოდში რუსეთში ჩვენი თანამემამულის სამხედრო ინჟინრის იგორ გერასიმეს ძე ჭელიძის მიერ მიღებული იქნა იგივე თვისებების მქონე ცემენტი. ამასთან ჭელიძემ 1825 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი, სადაც აღწერილი

იქნა ცემენტის ნედლეული, დამზადების ტექნოლოგია და მისი თვისებები.
ნაშრომი

შეადგენს 30 -40 ნაბეჭდ თაბახს, რაც გვაძლევს საფუძველს იმისას რომ იგი ჩავთვალოთ პორტლანდცემენტის გამომგონებლად. ჭელიძის მიერ მიღებული ეს ცემენტი გამოყენებული იქნა პირველ სამამულო ომის დროს დანგრეული მოსკოვის აღსადგენად. ამრიგად პორტლანდცემენტის წარმოების ფუძემდებლად ჩვენს ქვეყანაში ითვლება ჭელიძე, ამის დასტურია И. А. Значко-Яворски-ს მიერ 1969 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი, სახელწოდებით: „იგორ გერასიმეს ძე ჭელიძე - ცემენტის გამომგონებელი.“

მიღებული პორტლანდცემენტი თანდათან სრულყოფს ინგლისელმა მეცნიერმა ჩარლზ ჯონსონმა და რუსმა შულიაჩენკომ, მალიუგამ და ჩვენმა თანამემამულემ ვ. მიხაილოვმა. ამ ცემენტს რუსეთში და შემდგომ ყოფილ საბჭოთა კავშირში მე-XX-ე საუკუნის 50-იან წლამდე უწოდებდნენ ჩვეულებრივ ცემენტს, ხოლო შემდგომში მას საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის გამო შეარქვეს პორტლანდცემენტი, რადგან იგი დამზადებული იყო ქალაქ პორტლენდში. ეს ქალაქი მდებარეობდა ლონდონის მახლობლად, ამჟამად ლონდონის შემადგენლობაშია. საინტერესოა ისიც რომ ჯოზეფ ასპდინის შვილმა ამ ქალაქში ააშენა ცემენტის ქარხანა, რომლის წინაც დგას ჯოზეფ ასპდინის ძეგლი. ამჟამად ეს ქარხანა არ მოქმედებს და არის მუზეუმი.

თავი 2. შემკვრელების და დანამატების კვლევა, შედეგები და მათი განსჯა




2.1. ცემენტის გამყარების თავისებურებები

ცემენტის კვლევისას მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბეტონის ნარევის დამზადებისას მისგან დამზადებულ ნაკეთობაში არ ხდება ცემენტის სრული ჰიდრატაცია და მისი დიდი ნაწილი არ ღებულობს მონაწილეობას ბეტონის გამყარებაში.

ქარხნები ცემენტს უშვებენ სხვადასხვა დაფქვის სიწმინდით. ცნობილია, რომ რაც უფრო წმინდად არის დაფქული ცემენტი მით უფრო აქტიურად მიმდინარეობს მისი გამყარების პროცესი და ცემენტის მოლეკულების უფრო დიდი რაოდენობა ღებულობს ჰიდრატაციაში მონაწილეობას.

ა. ბაიკოვი ცემენტის გამყარების პროცესს ხსნის, როგორც კრისტალიზაციის და კოლოიდური პროცესების ერთობლიობას და მათ მიერ არის გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყოველგვარი ჰიდრატაციული გამყარების პროცესი გაივლის კოლოიდურ მდგომარეობას, მაშინაც კი როცა საბოლოო შედეგი იძლევა კრისტალურ წარმონაქმნს. მეცნიერები ცემენტის გამყარებას ყოფენ 3 პერიოდად:

1) **მოსამზადებელი (ან გახსნის) პერიოდი.** წყლისა და ცემენტის ურთიერთქმედებისას იწყება კლინკერული მინერალების გახსნა. ამ დროს მიმდინარეობს ჰიდროლიზის და ჰიდრატაციის რეაქციები, რის შედეგადაც წარმოიქმნება სტაბილური და მედეგი შენაერთები. ეს გარემოებაა ცემენტის, როგორც მჭიდა მასალის წარმოების პრინციპი და საფუძვლები.




პორტლანდცემენტის წყალთან ურთიერთქმედებისას წარმოიქმნება

პლასტიკური ცომი, რომელიც თანდათან სქელდება და გადადის ქვისებრ მდგომარეობაში.

კლინკერის თითოეული მინერალი წყალში სხვადასხვა სიჩქარით იხსნება და წარმოქმნიან ახალ წარმონაქმნებს.

2) კოლოდაციის პერიოდი. ნარევის სრული გაჟღენთვის დროს მიღებული ჰიდრატები ძირითადად ორკალციუმიანი C_2S ჰიდროსილიკატები, არ იხსნება წყალში და გადადის კოლოიდურ მდგომარეობაში. ეს კოლოიდები გროვდება ცემენტის მარცვლების ზედაპირზე ლამისმაგვარი მასის სახით, რომელსაც გელს უწოდებენ. გელი თანდათან მყარდება, როგორც ბუნებრივ სინესტის შემცირების ხარჯზე, ასევე წყლის თანდათან სიღრმეში შეღწევით. ეს პროცესი ზრდის გელის შეწებების უნარს. გელი აწებებს ცემენტის ნაწილაკებს, რის გამოც ცემენტის ცომი კარგავს პლასტიურობას და იწყებს შეკვრას.




ნახ. 2.1 ცემენტის კოლოდაციის პერიოდი

3. კრისტალიზაციის პერიოდი. ამ პერიოდში ხდება ცემენტის ქვის წარმოქმნა.

პორტლანდცემენტი მით უფო სწრაფად მაგრდება რაც მეტია მასში C_3S (ალიტი), იგი მთავარი მინერალია, რომელიც განსაზღვრავს ცემენტის მარკას. 7 დღე-ღამის ასაკში იღებს 28 დღიანი სიმტკიცის 70 %-ს, ბელიტი (C_2S) პირიქით ნელა მყარდება და დროთა განმავლობაში მაღალ სიმტკიცეს აღწევს. ბელიტი საწყის პერიოდში იძენს სამარკო სიმტკიცის მხოლოდ 15 %-

ს. შემდგომში მისი სიმტკიცე თანდათან მატულობს და 3 – 6 თვის შემდეგ აჭარბებს კიდევ ალიტის სიმტკიცეს, აქედან გამომდინარე ისეთი ბეტონების მიღებისას, რომელთაც ესაჭიროებათ მაღალი ადრეული სიმტკიცე იყენებენ ალიტურ ცემენტებს. ყველაზე სწრაფად ჰიდრატირდება ცელიტი C_3A , მაგრამ მისი სიმტკიცე დაბალია.

ცემენტი ინტენსიურად მაგრდება ტენიან გარემოში, ნორმალური $20+ 3^{\circ}C$ დროს. წყლიან გარემოში ცემენტი უფრო სწრაფად მაგრდება და მეტი სიმტკიცით ხასიათდება. ტემპერატურის ზრდა ტენიან გარემოში კიდევ უფრო აჩქარებს ცემენტის გამაგრებას. ხოლო დაბალი ტემპერატურა ანელებს ცემენტის გამაგრებას, უარყოფით ტემპერატურაზე კი ხდება გამყარების პროცესის შეწყვეტა.




ნახ. 2.2 ცემენტის კრისტალიზაციის პერიოდი

პორტლანდცემენტის წყალთან ურთიერთქმედების თეორია და შემდგომ მისი გამყარების პროცესი განავითარეს თავიანთ შრომებში ჟურავლიოვმა, ოკოროკოვმა, ა. რეზინდერმა ჩაატარა საფუძვლიანი კვლევა, რის შედეგადაც უფრო ნათელი გახდა წარმოდგენები შემკვრელი ნივთიერების გამყარების პროცესზე.

ცემენტს შეკვრის ვადების რეგულირებისთვის უმატებენ თაბაშირს 1,5 – 3,5 % მჭიდს მასიდან, რაც აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს,

შეკვრის დასაწყისი არაუადრეს 45 წუთი ადულაბებიდან, დასასრულს არაუგვიანეს 8 - 10 სთ-ის ადულაბების შემდეგ.



ნახ.2.3 გამყარებული ცემენტის ქვა

გამყარებული ცემენტის ქვა წარმოადგენს არაერთგვაროვან მიკროსკოპულ სტრუქტურულ სისტემას, რომელიც შედგენილი კოლოიდური ნაწილაკებისაგან, კრისტალური შენაერთებისგან და გელისებრი მასისგან. გარდა ამისა ცემენტის ქვა შედგება კლინკერული ნაწილების არაჰიდრატირებული ნაწილისაგან, რაც არაერთგვაროვანს ხდის ცემენტის ქვას. ცემენტის ქვის ამ არაერთგვაროვან სისტემას ვ. იუნგმა „მიკრობეტონი“ უწოდა.


პორტლანდცემენტის ჰიდრატაციაზე და მის შეკვრის პროცესზე დიდ გავლენას ახდენს მისი დაფქვის სიწმინდე. ცემენტს დაფქვის სიწმინდის მიხედვით განასხვავებენ:

- 1) მსხვილი დაფქვის სიწმინდით. მარცვლის ზომა 60 – 100 მკ. ხვედრითი ზედაპირი 2400 – 2500 სმ²/გ.
- 2) საშუალო დაფქვის სიწმინდით. მარცვლის ზომა 30 – 60 მკ. ხვედრითი ზედაპირი 2500 – 3500 სმ²/გ.
- 3) წვრილად დაფქვილი ცემენტი 30მკ-ზე მეტი. 4000 – 6000 სმ²/გ.

დაფქვის სიწმინდეს საზღვრავენ საცრული ანალიზით N008

ნახვრეტის ზომა 80 მკ-ია. გაცრის შემდეგ ნარჩენი საცერზე არ უნდა იყოს საწყისი მასის 15 %-ზე მეტი. ჩვეულებრივი დაფქვის პორტლანდცემენტში მასის 40-50% არ მონაწილეობს ცემენტის ქვის გამყარების საწყის სტადიაზე.

ცემენტის ეფექტურად გამოყენებისთვის აუცილებელია მასში არ იყოს ისეთი ზომის მარცვლები, რომლებიც თავისი სისქის გამო ვერ შევლენ რეაქციაში წყალთან. ამის თავიდან ასაცილებლად სასურველია ცემენტის მარცვლის სისქე იყოს 20 მკ-ზე ნაკლები.



ნახ. 2.4. 3 დღე-ღამის ასაკში გამყარებული ბეტონის სტრუქტურული სქემა

1. 20 მიკრონზე მსხვილი ზომის ცემენტის მარცვლები;
2. ცემენტის ქვის წებოვანი ნაწილი;
3. შემვსები;
4. 20 მიკრონზე მსხვილი ცემენტის მარცვლების ჰიდრატირებული ზედაპირი;
5. ცემენტის ქვის წებოვანი აპკი, რომელიც გარს ეკვრის შემვსებს;
6. 20 მიკრონზე მცირე ცემენტის მარცვლები.

ჰიდრატირების საშუალო პროცენტი ცემენტის ადულაბებიდან 24 საათის შემდეგ აღწევს 17-20 %. ეს პროცენტი იზრდება და გამყარების ნორმალურ პირობებში იძლევა 40-50%. არაჰიდრატირებული მარცვლები კი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში შედის რეაქციაში წლების

განმავლობაში. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ცემენტის მარკის ზუსტი დადგენა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ცემენტის სიმტკიცის სტანდარტულ ასპექტებთან.

2.2 ცემენტის სიმტკიცის ასპექტები

ცემენტების სიმტკიცის გამოცდა შესაძლებელია დაიყოს სტანდარტულად და არასტანდარტულად, რაც დაკავშირებულია მშენებლობის თავისებურებებთან (სასაქონლო ნარევი ან რკინაბეტონის ქარხნები). სტანდარტული გამოცდა ყველა დეტალით უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის მეთოდურ მითითებებს, რომელთა გარეშეც ვერ მივიღებთ სანდო შედეგებს. ცემენტის გამოცდისათვის გამოყენებული დუღაბი აუცილებელია მომზადდეს სპეციალურ დუღაბმრევში. გამოცდის ჩატარებისას ხშირად არ ხდება ტემპერატურის, გარემოს ტენიანობის (ცემენტის გამოცდის ლაბორატორიული კვლევების ჩატარების შენობები) და ნიმუშების გამაგრების პირობების გათვალისწინება. აღნიშნული გარემოებები გავლენას ახდენს გამოცდების შედეგების სიზუსტეზე. უნდა აღინიშნოს, ცემენტი ბეტონის ქარხნებსა და მშენებლობას მიეწოდება მისი 28 დღე-ღამის შემდგომი სიმტკიცის გარანტიით.

ცემენტის სიმტკიცის შესახებ ინფორმაცია მესამე და მეშვიდე დღეს გაიცემა, მხოლოდ მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად. ცემენტები იგზავნება საპასპორტო მონაცემების დართვით რომლებიც მიღებულია სწორი ტექნოლოგიების გამოყენებით და დუღაბის ნიმუშების შემადგენლობის დაჩქარებული გამოცდების ჩატარებით, მრავალწლიანი ობიექტური შეფასებების და უწყვეტად მიღებული პროდუქციის გამოცდილების შედეგად.

ცემენტის თითოეულ ქარხანას გააჩნია საკუთარი კოეფიციენტი გამაგრების დაჩქარებული მეთოდით მიღებული გამოცდის შედეგების გადაყვანისა გამაგრების სტანდარტულ რეჟიმზე, რომელიც განისაზღვრა ცემენტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ქარხნების

ლაბორატორიების პერსონალის მრავალწლიანი, ერთობლივი შრომის შედეგად.

სხვადასხვა ქარხნების კოეფიციენტებში განსხვავება დაკავშირებულია ცემენტების ქიმიურ, მინერალოგიურ და პეტროგრაფიულ შემადგენლობებზე, დაფქვის სიწმინდეზე და გამოყენებული დანამატების რაოდენობაზე.

სტანდარტულ პირობებში, 28 დღ/დ გამაგრებულ ცემენტსა და დაჩქარებული მეთოდის გამოყენებით მიღებულ ცემენტის სიმტკიცის სხვაობა შეადგენს 8%, რაც ნაკლებად მოქმედებს იმ ბეტონის სიმტკიცეზე, რომელიც მიღებულია ქარხანაში ან მშენებლობაზე განმეორებითი გამოცდით.

ხარისხის გარანტიით მიწოდებული ცემენტი სამშენებლო ლაბორატორიებს საშუალებას აძლევს ცემენტის სტანდარტული გამოცდის შრომატევად და არა რენტაბელურ საქმიანობაზე უარი თქვან და ყურადღება გაამახვილონ ბეტონის სამუშაოებზე, რომელთა ზუსტი შესრულება დამოკიდებულია ლაბორატორიების კვალიფიკაციურ საქმიანობაზე. ამ მიზეზების გათვალისწინებით, საჭიროა ცემენტის მხოლოდ უმარტივესი საკონტროლო შემოწმება (შეკვრის ვადები, დაფქვის სიწმინდე, მოცულობის თანაბარი ცვლილება), რაც ამასთან ერთად საჭიროა მისი სტანდარტულობის განსაზღვრისას. პირველ ხანებში, იმ ლაბორატორიებისთვის, რომლებიც ატარებენ კვლევებს მახასიათებლების სრულ მოცულობაზე, რაც ნორმირებული იყო სტანდარტის მიხედვით, ცემენტის ხარისხის კონტროლის მიმართ მსგავსი მიდგომა შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს არასაკმარისად, არასრულყოფილად და სარისკოდ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ცემენტის ძელაკის აუცილებელი გამოცდა ბეტონის შემადგენლობის შერჩევისას, რაც არ არის სტანდარტიზირებული. ამასთან ერთად ქარხანა-მომწოდებლისაგან უნდა იქნეს მოთხოვნილი დამატებით გარდამავალი კოეფიციენტები, რომელთა გამოყენებითაც ქარხანა აწარმოებდა ცემენტის გარანტირებულ მარკას. ასეთ შემთხვევებში,

ცემენტის მარკის შესახებ ქარხნის გარანტიაში დასარწმუნებლად, ბეტონის შემადგენლობისთვის ცემენტის შერჩევისას შესაძლებელია დულაბის შემადგენლობაში მისი დაჩქარებული გამოცდა. აუცილებელია ტერმინ „ცემენტის მარკის სიმტკიცის“ დეტალური განხილვა და ამ მიზნისთვის სხვადასხვა ხერხის გამოყენება. როგორც ცნობილია, ცემენტი, სუფთა სახით, ყოველგვარი დანამატის გარეშე, არ გამოიყენება, ვინაიდან ამ დროს წარმოიქმნება ძვირადღირებული ცემენტის ქვა, რომლის სტრუქტურაშიც არსებობს უამრავი დეფექტი. აქედან გამომდინარე, ცემენტის ცომი არის სხვადასხვა თვისების მატარებელი როგორც ქვის მასალების წებო. ცემენტის შეფასებისას აუცილებელია მის ხარისხზე ქვის მასალების ზემოქმედების გამორიცხვა. 1-ელ ცხრილში ნაჩვენებია თუ როგორ იცვლება ერთი და იგივე პორტლანდცემენტის სიმტკიცე სხვადასხვა ქვიშის გამოყენებისას

სტანდარტული ქვიშები ცემენტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განსაზღვრისას

ცხრილი N2.1

ქვიშის და ქვეყნის დასახელება	28 დღის შემდეგ სიმტკიცის ზღვარი კგ/სმ ² (მპა)	იმტკიცის ცვლილება სტანდარტულ ქვიშასთან მიმართებაში, %
სტანდარტული ქვიშა (საქართველო. რუსეთი)	521(52)	–
სტანდარტული ქვიშა (გერმანია)	650(65)	25
სტანდარტული ქვიშა (ჩეხეთი)	561(56)	8

რათა გამოირიცხოს ქვიშის თვისებების გავლენა ცემენტის ხარისხზე, სხვადასხვა ქვეყანაში შერჩეული იყო ცემენტის სტანდარტული გამოცდისას

საკუთარი სტანდარტული ქვიშა, რომელიც ერთ შემთხვევაში უკეთესია, ვიდრე სტანდარტული ქვიშა და მეორეში უარესი.

სტანდარტული ქვიშის გამოყენება კი ცემენტის ხარისხის პირობითი სიმტკიცის კრიტერიუმის მიღების საშუალებას იძლევა (ცხრ. 2, 3).

სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მეთოდებით მიღებული ცემენტის სიმტკიცე

ცხრილი 2.2

ქვეყანა	პორტლანდცემენტი	ხსნარის ნაზავის სახეობა	სიმტკიცის ზღვარი							
			კუმშვისას				ღუნვისას			
			გამაგრების ხანგრძლივობა, დღე-ღამე							
			1	3	7	28	1	3	7	28
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ინგლისი	ჩვეულებრივი მალმყარებადი	პლასტიკური	– 11 2	11 2 24 6	17 6 –	– –	– –	– –	– –	– –
ავსტრალია	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	– –	17 5 28 1	24 6 38 7	316 45 7	– –	– –	– –	– –
ბულგარეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	– –	– 25 0	20 0 –	30 0 45 0	– –	– –	– –	– –
უნგრეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	– 25 0*	– –	20 0 40 0	28 0 50 0	– –	– –	– –	– 20 *
გერმანია	დაბალი სიმტკიცის ჩვეულებრივი მაღალი სიმტკიცის	პლასტიკური	– – 10 0	– 15 0 30 0	110 22 5 36 0	– – 25	– 3 0 5 0	2 5 4 0 6 0	50 6 0 7 0	– – –
იტალია	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	– –	– 29 0	38 0 50 0	50 0 68 0	– –	– –	– –	– –

ნორვეგია	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	- 25 0*	18 0 -	25 0 37 5	35 0 45 0	- -	- -	- -	- -
პოლონეთი	ჩვეულებრივი მალალგამმლე სიმტკიცის	პლასტიკური	- -	- 18 0	13 0 28 0	25 0 40 0	- -	- 3 5	30 45	50 65
ფინეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი დაბალთერმული	პლასტიკური	- 10 0 -	15 0 30 0	225 375 125	35 0 45 0 25 0	- 2 5	3 0 5 0	4 0 6 0 30	60 70 50
საფრანგეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი მაღალი სიმტკიცის	პლასტიკური	- 16 0*	- - -	160 315 215	25 0 40 0 34 0	- -	- -	- -	- -
ჩეხეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	- -	- 275	200 375	27 5 42 5	- -	- -	- -	- -
შვედეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი დაბალთერმული	პლასტიკური	- 15 0 -	- 32 5	250 400 150	40 0 50 0 27 5	- 3 0	- 6 0	45 65 30	65 70 50
იაპონია	ჩვეულებრივი მალმყარებადი	პლასტიკური	- 88	63 17 6	127 -	21 0 -	- -	- -	- -	- -
აშშ	ჩვეულებრივი მალმყარებადი დაბალთერმული. ზომიერად თერმული. სულფატის მიმართ ზომიერად მდგრადი. სულფატმდგრადი	პლასტიკური	- 88 - - - -	63 17 6 - 53 53 -	127 - 56 105 105 105	- - - - - -	- - - - - -	- - - - - -	- - - - - -	- - - - - -

სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული ცემენტის გამოცდის

მეთოდები

ცხრილი 2.3

ქვეყანა	პორტლანდცემენტი	დულაბის კონსისტენცია	გამოსაცდელი	წყლის შემცველობა, %		ფორმირების საშუალება	
				რვიანები და კოჭები	კუბები	რვიანები და კოჭები	კუბები
1	2	3	4	5	6	7	8
ინგლისი	ჩვეულებრივი მალმყარებადი	პლასტიკური	რვიანები და კოჭები	0.196+2,5	10	ხელით	ვიბრირება
ავსტრია	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	კუბები	–	0.27–0.306	ხელით	დაწოლა 150 დარტყმა
ბულგარეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	რვიანები და კოჭები	8	8	დაწოლა 150 დარტყმა	დაწოლა 150 დარტყმა
უნგრეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	რვიანები და კოჭები	წ/ც–0,3	w/c –0,3	დაწოლა 120 დარტყმა	დაწოლა 150 დარტყმა
გდრ	დაბალისიმტციის ჩვეულებრივი მაღალი სიმტციის	პლასტიკური	კოჭები	15	–	ხელით	–
იტალია	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	რვიანები და კოჭები	ვიკას სინჯით	–	დაწოლა 120 დარტყმა	დაწოლა 150 დარტყმა
ნორვეგია	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	რვიანები და კოჭები	დაწოლა 90–100 დარტმულ	–	დაწოლა 150 დარტყმა	დაწოლა 150 დარტყმა
პოლონეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი	პლასტიკური	კოჭები	15	–	ხელით	–

ფინეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი დაბალთერმული	პლასტიკური	კოჭები	14	–	ხელით	–
საფრანგეთი	ჩვეულებრივი მაღალი სიმტკიცის მალმყარებადი ზემტკიცე	პლასტიკური	რვიანები და კოჭები	11–12	11–12	ხელით, დარტყმის გარეშე	ხელით, დარტყმის გარეშე
ჩეხეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი	ხისტი	რვიანები და კოჭები	90–100 დარტყმულ დარკწონუს ქტლუს გამიჟინვა	დატკეპნა 150 დარტყმა	დატკეპნა, 150 დარტყმა	
შვედეთი	ჩვეულებრივი მალმყარებადი დაბალთერმული	პლასტიკური	კოჭები	14	–	ხელით	–
იაპონია	ჩვეულებრივი მალმყარებადი	პლასტიკური	დუღაბის კოჭები, ფარდობითი 1–2	წ/ც–0.65	–	ხელით	–
აშშ	ჩვეულებრივი მალმყარებადი დაბალთერმული. ზომიერად თერმული. სულფატომედეგი.	პლასტიკური	რვიანები და კოჭები	ნ/4+6.5	1:2,75 დუღაბის გაზრდით	ხელით, ფენად	ხელით, ფენად კუბის წახნაგი 5.08 სმ

შენიშვნა: * ორი დღე–ღამის

ვინაიდან ცემენტის მარკა წარმოადგენს პირობით პარამეტრს, რომელიც არ ითვალისწინებს მისი სიმტკიცის ყველა თავისებურებას, თითოეულ ქვეყანაში მიღებული იყო ბეტონის სიმტკიცის და ცემენტის მარკას შორის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპები. ცემენტის გამოცდის მეთოდის ცვლა იწვევს ცემენტის სიმტკიცის ცვლასაც.

ცემენტის გამოცდა აუცილებელია ჩატარდეს სტანდარტული ქვიშის გამოყენებით. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ქვიშა, რომელიც სტანდარტულისგან განსხვავდება, გავლენას იქონიებს გამოცდის შედეგებზე.

კვარცის წვრილი ქვიშა ამცირებს ცემენტის მარკას, ხოლო სამთო მსხვილმარცვლოვანი ქვიშა პირიქით, ზრდის მას, ძველი სტანდარტი გვთავაზობდა ცემენტის მექანიკური გამოცდის უფრო მარტივ ხერხს, პლასტიკურ დუღაბში 1:3 შემადგენლობით, წყლის და ცემენტის ფარდობით 0,40, რაც ზუსტდება დუღაბის კონუსის პლასტიკურობით სტანდარტულ ვიბრომაგიდაზე. დუღაბის პლასტიკურობის ასეთი განსაზღვრისას კონუსს უნდა ქონდეს განშლა არაუმცირეს 105 მმ. 4×4×16 სმ. კოჭების ნიმუშების დამზადება პლასტიკური ნაზავისგან სტანდარტულ ვიბრომაგიდაზე და მისი შემკვრივება უფრო ადვილია, ვიდრე ხისტი დუღაბის 7.07×7.07×7.07 სმ ზომის კუბების კორპზე მომზადება, რაც ტარდებოდა 1967 წლამდე გოსტ. 310-60 გამოყენებისას.

ცემენტის სტანდარტული გამოცდისას აუცილებელია სტანდარტული აპარატურა და შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები: **ცემენტის დაფქვის სიწმინდის განსაზღვრა.** ცემენტის დაფქვის სიწმინდის განსაზღვრა წარმოებს საცრული ანალიზით, რისთვისაც იღებენ 50 გ სინჯს, გამომშრალს საშრობ კარადაში 1 სთ-ის განმავლობაში 105-110 °C. სინჯს ათავსებენ №008 საცერზე, რომელსაც ქვემოდან უკეთებენ ფსკერს, ხოლო ზემოდან აფარებენ ხუფს. საცერს ათავსებენ მექანიკურ გამცრელზე, სადაც ხდება გაცრა და დაფქვის სიწმინდის განსაზღვრა.

ცემენტის ცომის ნორმალურ სისქელეს განსაზღვრავენ ვიკას ხელსაწყოთა საშუალებით. ხელსაწყოში ნემსი შეცვლილია ლითონის ცილინდრული ღეროთი, რომლის დიამეტრი 10 მმ, ხოლო სიგრძე - 50 მმ. გამოცდის დაწყებამდე მოწმდება ვერტიკალური ღეროს თავისუფალი მოძრაობა, ცილინდრული ნაწილის სისუფთავე, ღეროს მდგომარეობა და ისრის ჩვენება. ეს უკანასკნელი უნდა უჩვენებდეს ნულს ღეროს ცილინდრული ნაწილის ფირფიტასთან შეხების მომენტში. ცემენტის ცომის

მოსაზეულად იღებენ 400გრ. ცემენტს უკეთებენ ღრმულს, რომელშიც ერთბაშად ასხამენ საცდელი მოზელისათვის საჭირო წყლის რაოდენობას. წყლის საორიენტაციო რაოდენობა აიღება 100- 112 სმ 3, ე.ი. ცემენტის მასის 25 – 28 %. წყლიან ღრმულში უნდა ჩაიყაროს ცემენტი ლითონის ფითხის დახმარებით, ხოლო 30 წმ-ის შემდეგ დაიწყოს მიღებული მასის არევა. რისთვისაც სფერული თასი პერიოდულად უნდა მობრუნდეს 90°. ცემენტის ცომის არევის პროცესი წყლის დასხმიდან გრძელდება 5 წთ-ის განმავლობაში, რის შემდეგ ცომს ერთჯერადი ჩასხმით ათავსებენ მინის ფირფიტაზე დადგუმ რგოლში, რომელსაც ხუთ-ექვსჯერ შეანჯღრევენ მაგიდაზე დარტყმით. რგოლს ათავსებენ ვიკას ხელსაწყოს მოძრავი ღეროს ქვეშ, რომელიც მოჰყავთ ცომის ზედაპირის შეხებამდე რგოლის შუა ნაწილში და ასეთ მდგომარეობაში ამაგრებენ დამჭერი ხრახნით, სწრაფად ათავისუფლებენ ვერტიკალურ ღეროს ცილინდრულ ნაწილთან ერთად და აძლევენ მას თავისუფლად ჩაძირვის საშუალებას ცემენტის ცომში 30 წთ-ის შემდეგ ხელსაწყოს სკალაზე აღნიშნავენ ცილინდრული ნაწილის ჩაძირვის სიდიდეს.

ცემენტის ცომის სისქელე ნორმალურად ითვლება, თუ ცილინდრული ღერო არ იძირება 5-7მმ. ფირფიტამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ცვლიან აღებული წყლის რაოდენობას და იმეორებენ ცდას თავიდან.

წყლის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ნორმალური სისქელის ცომის მისაღებად, გამოსახული პროცენტებში, ცემენტის მასიდან გამოიანგარიშება 0,25 %-ის სიზუსტით.

ცემენტის ცომის შეკვრის ვადების განსაზღვრა წარმოებს ვიკას ხელსაწყოს დახმარებით. ცილინდრული ღეროს ნემსით შეცვლა გამოიწვევს მოძრავი ღეროს მასის შემცირებას, რასაც ავსებენ დამატებითი ტვირთით. ეს უკანასკნელი თავსდება მოძრავი ღეროს თავზე ისე, რომ მოძრავი ღეროს მთლიანი მასა ნემსითა და ტვირთით შეადგენს 300 ±2 გ -ს. ცდის ჩასატარებლად ამზადებენ ნორმალური სისქელის ცემენტის ცომს, რომელსაც

ათავსებენ ლითონის რგოლში. ნემსი მოჰყავთ ცომის ზედაპირის შეხებამდე და ღეროს აძლევენ თავისუფალი ვარდნის საშუალებას. ცემენტის ცომში ნემსის ჩაყრისას აწარმოებენ ყოველ 10 წთ-ში. ცემენტის ცომის შეკვრის დასაწყისად ითვლება დროის ის მონაკვეთი წყალთან შერევის მომენტიდან, როდესაც ნემსი არ ჩავა ცემენტის ცომში ფირფიტამდე 1-2 მმ-ით, დასასრულად კი ის დრო, როდესაც ღერო არ ჩაიძირება ცემენტის ცომში 1-2 მმ-ზე მეტად.

ცემენტის სიმტკიცის მახასიათებლის განსაზღვრისათვის ამზადებენ საკონტროლო ძელაკებს ცემენტის დულაბისაგან შეფარდებით 1:3 (ერთი მასით ნაწილი ცემენტისა და სამი ნაწილი სტანდარტული ქვიშისაგან). წყლისა და ცემენტის მასითი ფარდობა უნდა იყოს არანაკლებ 0,4, ხოლო კონუსის განთხევა შესაძღრევ მაგიდაზე არანაკლებ 106- 115 მმ-ისა.

ა) ცემენტის დულაბის კონსისტენციის განსაზღვრა

ცემენტის დულაბის კონსისტენციის განსაზღვრისათვის იღებენ 1500 გ ქვიშას და 500 გრ ცემენტს. ჩაყრიან მათ მიქსერში და ერთმანეთში ურევენ 1 წთ განმავლობაში.

მიღებული მშრალი მასის შუაგულს ძაბრისებრ აღრმავებენ, შიგ ასხამენ 200 გრ. წყალს ($\eta/\zeta = 0,40$) და აყოვნებენ. შემდეგ საბოლოოდ ხდება მისი არევა 2,5 წთ. განმავლობაში არევის შემდეგ დულაბით ავსებენ კონუსყალიბს მასში ნარევის ყრიან თანაბარ ფენებად. თითოეული ფენა კონუსის სიმაღლის ნახევარია. კონუსი დადგმული უნდა იყოს სანჯღრევ მაგიდაზე.

დულაბის შემკვრივებას აწარმოებენ დახიმტვით უყანგავი ლითონის ღეროთი - ქვედა ფებას დახიმტავენ 15- ჯერ, ხოლო ზედას - 10 - ჯერ. დულაბის ჩაწყობის პროცესში საჭიროა კონუსის მიბჯენა მინის დისკოზე, რასაც კონუსზე ხელის დაწოლით ახდენენ.

ზედა ფენის შემკვრივების შემდეგ ზედმეტ დულაბს ჭრიან ლაბორატორიული დანით და უსწორებენ ზედაპირს. კონუსის ფრთხილი ვერტიკალური აწევით დულაბს ათავისუფლებენ და შეანჯღრევენ მაგიაზე

30-ჯერ, დაახლოებით 30 ± 5 წმ-ის განმავლობაში. კონუსის განთხევის სიდიდე იზომებ ქვედა ფუძის სიდიდის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ დუღაბის კონსისტენცია აღმოჩნდება 106 მმ-ზე ნაკლები, მაშინ საჭიროა განმეორებით მოიზილოს სასინჯი ცემენტი წყლის გადიდებული რაოდენობით, კონუსის განთხევის დიამეტრი 106-108 მმ-ის ფარგლებში იყოს. თუ კონუსის განთხევის სიდიდე აღმოჩნდება 115 მმ-ზე მეტი, მაშინ საჭიროა წყლის რაოდენობის შემცირება იმ ანგარიშიტ, რომ კონუსის განთხევის დიამეტრი 113 -115 მმ-ის ფარგლებში მიიღონ. **ძელაკის ნიმუშების დამზადება.**

ნიმუშის დასამზადებელ ზეთწასმულ ყალიბს ავსებენ დუღაბით დაახლოებით 1სმ-ის სიმაღლეზე და ჩართავენ ვიბრატორს. 2 წთ. განმავლობაში ფორმას ავსებენ დუღაბის მეორე ულუფით. ვიბრაციის დაწყებიდან სამი წუთის გავლის შემდეგ ვიბრაცია დამთავრებულად ითვლება. ნიმუშებს უსწორებენ ზედაპირს, ადებენ მარკას და ყალიბებიანად ინახავენ 24 ± 2 სთ განმავლობაში აბაზანაში. აღნიშნული დროის შემდეგ ახდენენ განყალიბებას და ნიმუშებს აწყობენ ავზში, ისე რომ ერთმანეთს არ ეხებოდნენ. რეკომენდირებულია, რომ ნიმუშების შესანახი წყალი გამოიცივლოს ყოველ 14 დღეში ერთხელ. გამოცდის წინა მომენტში წყლიდან ამოღებული ნიმუშები უნდა გამშრალდეს ჩვრით და არა უგვიანეს 1 საათისა მოხდეს მათი გამოცდა.

ხელსაწყო ცემენტის ხვედრითი ზედაპირის განსაზღვრისათვის ჰაერგამტარობის მეთოდით, ამრევი ცემენტის ცომის მოსამზადებლად, თასი და ნიჩაბი, შეჭიდების ვადების ავტომატური აღრიცხვის ხელსაწყო ან ვიკას ხელსაწყო რგოლებით, ავზი ცემენტის ცომის გამოცდისათვის მოცულობის ცვლის თანაზომიერების გასაგებად.

აბაზანების ნაკრები, მოთუთიებული ფოლადის ჰიდრავლიკური საკეტი ცემენტის შესანახად დროში: დუღაბის ასარევი მიქსერი; სარხევი მაგიდა და ფორმა-კონუსი დუღაბის პლასტიკურობის შესამოწმებლად; ფოლადის ყალიბი ნიმუშების მოსამზადებლად ზომით $4 \times 4 \times 16$ სმ;

ვიბრომაგიდა, სტანდარტული დუღაბის შემკვრივებისთვის; ხელსაწყო, კოჭების ღუნვაზე გამოცდისთვის, წნეხი, კოჭების ნახევრების კუმშვაზე გამოსაცდელად.

ზემოთ ჩამოთვლილი ხელსაწყოების და სხვადასხვა მოწყობილობების, ლაბორატორიული ჟურნალების, შესაბამისი ტემპერატურის და ტენიანობის მქონე სათავსოს გარეშე, შეუძლებელია ცემენტის პირობითი ხარისხის შესწავლაც კი.

ნებისმიერ შემთხვევაში, ლაბორატორიის თანამშრომელი რეგულარულად უნდა აწარმოებდეს დღე-ღამის განმავლობაში ჩანაწერებს სათავსოს ტემპერატურის შესახებ და უნდა უზრუნველყოს შენობაში ჰაერის საჭირო ფარდობითი ტენიანობა. სათავსო უნდა იყოს ჰერმეტიული, არალპობადი იატაკით, კედლებით, ჭერით და კარით.

N196-7 სტანდარტით ტერმინი „ცემენტის სინჯის“ დაზუსტება აუცილებელია, რომელსაც იღებენ ლაბორატორიული კვლევისას, ვინაიდან არის შემთხვევები სხვა სინჯების გაგზავნის, რომლებიც არ წარმოადგენდა გამოგზავნილი ცემენტის პარტიას. შესაძლებელია საგამოცდოდ გამოყენებულ იქნას ზედა ფენის ცემენტი, რომელიც უფრო მაღალი ჰიდრატაციით გამოიჩევა, ვიდრე ქვემო ფენის ცემენტი, რომელიც ზემო ფენებით იყო დაცული ტენიანი ჰაერის ზემოქმედებისგან. შესაძლებელია სინჯად არა იმ პარტიის ცემენტის გაგზავნა, რომლის ხარისხის გადამოწმება ან მისი განსაზღვრა უნდა მომხდარიყო, რადგან მშენებლობაზე არ იყო შემოსული აუცილებელი ინფორმაცია ქარხნიდან. ამიტომ ლაბორატორიას და ტექნიკური მომარაგების განყოფილებას უნდა გააჩნდეს აღრიცხვის ჟურნალი. ყოველ საწყობს უნდა ქონდეს ნომერი და ნაკვეთურების გეგმა, ცემენტის შენახვის ბუნკერები. ჟურნალში, რომელთაგან ერთი ინახება ლაბორატორიაში და მეორე კი ტექნიკური მომარაგების განყოფილებაში აღრიცხული უნდა იყოს ცემენტის შემოტანის და გამოყენების ყველა ინფორმაცია. მკაცრი აღრიცხვიანობა საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ შეცდომები არასტანდარტული ცემენტის გამოცდისას.

ლაბორატორიას შეუძლია ცემენტი მიიღოს გამოსაცდელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნათლად სჩანს სინჯის „წარმომავლობა“ ანუ სასინჯად გამოგზავნილი ცემენტით შეიძლება მთელი პარტიის ხარისხის შეფასება. შემოსული ცემენტის საბუთები უნდა ინახებოდეს ლაბორატორიის ცალკე საქაღალდეში. აქვე უნდა იყოს ცემენტზე ყველა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია ცემენტის ქარხნიდან, აგრეთვე მიმდინარე კორესპონდენციები, რომლებიც დაკავშირებულია ცემენტის ხარისხთან. მიღების, შენახვის, მიმდინარე გამოცდების შესახებ, რომლებიც განხორციელებულია ლაბორატორიის მიერ. ინფორმაციაზე უნდა არსებობდეს მკაცრი წესრიგი, რაც უზრუნველყოფს არა მარტო სამუშაოების ჩატარების მაღალ დონეს, აგრეთვე ცემენტის რაციონალურ გამოყენებას. მონოლითურ ბეტონში გამოყენებული პორტლანდცემენტების გამოცდა რეკომენდებულია ჩატარდეს ისე, რომ არ გამოიყენებოდეს დაჩქარებული გამაგრების რეჟიმი. უკიდურეს შემთხვევაში, ნებადართულია განისაზღვროს ცემენტის და ბეტონის სიმტკიცის გარდამავალი კოეფიციენტები.

ა. ცემენტებისადმი წარდგენილი ტექნიკური მოთხოვნები, გამოცდის მეთოდები ევროპულ ნორმებთან შესაბამისობით

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში მოქმედებდა ცემენტების სხვადასხვა კლასიფიკაცია, ნივთიერი შედგენილობის, სიმტკიცის, გამაგრების სიჩქარის მიხედვით და რეგლამენტირებული იყო მათი არსებითი განსხვავებები, რაც აძნელებდა ამ სტანდარტით გამოშვებული ცემენტების ხარისხის შეპირისპირებას. ამასთან დაკავშირებით ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტმა (CEN) მიიღო სტანდარტი EN197 ცემენტი, რომელიც აწესებს ევროპის გაერთიანების (EC) ყველა ქვეყნის ერთიან კლასიფიკაციას. ტექნიკურ მოთხოვნებს და სტანდარტით დადგენილი ცემენტის ხარისხის შესაბამისობას.

სხვადასხვა ცემენტების დიდი რაოდენობის გამო, სპეციალისტებმა გადაწყვიტეს გამოეყოთ „ჩვეულებრივი ცემენტები“ სპეციალური ცემენტებიდან, ე.ი. დამატებითი ან სპეციალური თვისებების

ცემენტებისაგან. სუპერპლასტიფიკატორის საფუძველზე მიღებული კომპლექსური დანამატი, IV თაობის რთული მრავალკომპონენტური კომპლექსური დანამატი. შედგენილობა, მოთხოვნების და კრიტერიუმების შესაბამისობები ჩვეულებრივი ცემენტებისათვის მოცემულია EN197-1-ში. მოცემული სტანდარტი მოიცავს ყველა ჩვეულებრივ ცემენტს და ჩვეულებრივ დაბალთერმულ ცემენტებს, რომლებიც აღწერილია ნაციონალური შესაბამისი სტანდარტიზაციის ორგანიზაციების მიერ, CEN-ის ფარგლებში, როგორც ტრადიციული და საიმედო.

ბ. ცემენტებისადმი წარდგენილი ტექნიკური მოთხოვნები

ცემენტები უნდა შეესაბამებოდეს EN 197-1-ით დადგენილ მოთხოვნებს.

ტექნიკური მოთხოვნები წარედგინება შემდეგ მაჩვენებლებს:

- ცემენტების მინერალოგიურ შედგენილობას;
- ცემენტების შედგენილობაში შესულ მასალებს;
- ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს, მათ შორის სიმტკიცეს, შეკვრის ვადებს, მოცულობის ცვლილების თანაბარზომიერებას;
- ქიმიურ მაჩვენებლებს.

მოთხოვნები, წარდგენილი ცემენტების მინერალოგიური შედგენილობისადმი და მასალებისადმი, რომლებიც ამ შედგენილობაშია ცემენტების ნივთიერი შედგენილობა განისაზღვრება შემდეგი მონაცემებით:

- ძირითადი შედგენილობა პორტლანდცემენტის კლინკერით და მინერალური დანამატებით;
- კალციუმის სულფატით;
- არაძირითადი (დამატებითი) შემადგენლობით არაორგანული ბუნებრივი ან ხელოვნური მასალებით;

• ორგანული დანამატებით.

EN 197-1-ის შესაბამისად არსებობს ჩვეულებრივი ცემენტების ოჯახის 27 პროდუქტი. ისინი იყოფიან ცემენტის 5 ჯგუფად შემდეგნაირად:

CEM I პორტლანდცემენტი

CEM II პორტლანდცემენტი მინერალური დანამატებით

CEM III წიდაპორტლანდცემენტი

CEM IV პუცოლანური ცემენტი

CEM V კომპოზიციური ცემენტი

ჩვეულებრივი ცემენტების ოჯახის 27 პროდუქტიდან თითოეულის შედგენილობა უნდა შეესაბამებოდეს ცხრ. 2.4.

ჩვეულებრივი ცემენტების შედგენილობისადმი წარდგენილი მოთხოვნები
EN 197-1-თან შესაბამისობით

ცხრილი 2.4.

ძირითადი ტიპები	27 პროდუქტის აღნიშვნა (ჩვეულებრივი ცემენტის ტიპები)	შედგენილობა (მასითი შემცველობა პროცენტებში)*											არაძირითადი (დამატებითი შემდგენლები)	
		ძირითადი შემადგენლები												
		კლინკერი	ბრძმედის წილა	კაჟმიწის მტვერი	პუცოლანი		წანატაც-ნაცარი		გამომწვარი ფიქალი	კირქვა				
					ბუნებრივი	ბუნებრივი კალციური-	კაჟმიწიანი	კირიანი						
K	S	D**	P	Q	V	W	T	L	LL					
CEM I	პორტლანდ-ცემენტი	CEM I	95-100	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0-5
CEM II	წიდაპორ-ტლანდცე-მენტი	CEM II /A-S	80-94	6-20	-	-	-	-	-	-	-	-	-	0-5
		CEMII /B-S	65-79	21-35	-	-	-	-	-	-	-	-	-	0-5
	პორტლანდ-ცემენტი კაჟმიწა მტვერის დანამატით	CEMII /A-D	80-94	-	6-10	-	-	-	-	-	-	-	-	0-5
CEM II	პუცოლანუ-რი პორტ-ლანდცე-მენტი	CEMII /A-P	80-94	-	-	6-20	-	-	-	-	-	-	-	0-5

		CEMII /B-P	65-79	-	-	21-35	-	-	-	-	-	-	0-5
		CEMII /A-Q	80-94	-	-	-	6-20	-	-	-	-	-	0-5
		CEMII /B-Q	65-79	-	-	-	21-35	-	-	-	-	-	0-5
	პორტლანდ-ცემენტი წანატაც- ნაცრის დანამატით	CEMII /A-V	80-94	-	-	-	-	6-20	-	-	-	-	-
		CEMII /B-V	65-79	-	-	-	-	21-35	-	-	-	-	-
		CEMII /A-W	65-79	-	-	-	-	-	6-20	-	-	-	-
		CEMII /B-W	80-94	-	-	-	-	-	21-35	-	-	-	-
	პორტლანდ-ცემენტი გამომწვარი თაბაშირის დანამატით	CEMII /AT	80-94	-	-	-	-	-	-	6-20	-	-	-
		CEMII /BT	65-79	-	-	-	-	-	-	21-35	-	-	-
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
CEMII	პორტლანდ-ცემენტი კირქვის დანამატით	CEMII/A-L	80-94	-	-	-	-	-	-	-	6-20	-	-
		CEMII/ B-L	65-79	-	-	-	-	-	-	-	21-35	-	-
		CEMII/ A-LL	80-94	-	-	-	-	-	-	-	-	6-20	-
		CEMII/ B-LL	65-79	-	-	-	-	-	-	-	-	21-35	-
	კომპოზი-ციური	CEMII/ A-M	80-94	60-20									-
		CEMII/ B-M	65-79	21-35									-
CEMIII	წიდაპორ-ტლანდცე-მენტი	CEMIII/A	35-64	36-65	-	-	-	-	-	-	-	-	-
		CEMIII/B	20-34	66-80	-	-	-	-	-	-	-	-	-

		CEMIII/C	5-19	81-95	-	-	-	-	-	-	-	-	-
CEMIV	პუცოლა-ნური ცემენტი	CEMIV/A	65-89	-	11-35			-	-	-	-	0-5	
		CEMIV/B	45-64	-	36-55			-	-	-	-		
CEMV	კომპოზი-ციური ცემენტი	CEMV/A	40-64	18-30	-	18-30		-	-	-	-	-	
		CEMV/B	28-38	31-50	-	31-50		-	-	-	-	-	

მოთხოვნები მასალებისადმი. ძირითადი შემადგენლები:

CEM – ცემენტი, შეესაბამება EN 197-1 სტანდარტს, წყალთან და შემცვლებთან არევისას უნდა წარმოქმნას ისეთი ბეტონის ნარევი ან სამშენებლო დუღაბი, რომელმაც საკმარისი დოზით უნდა შეინარჩუნოს ადვილჩაწყობადობა, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მიიღოს გარკვეული დონის სიმტკიცე, გარდა ამისა, უნდა ჰქონდეს მოცულობის თანაბარზომიერების უნარი.

ცემენტის გამაგრება ხდება ძირითადად კალციუმის სილიკატების ჰიდრატაციის შედეგად, მაგრამ გამაგრების პროცესში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს სხვა ქიმიურმა ნაერთებმაც, მაგალითად, ალუმინატებმა. ცემენტში ქიმიურად აქტიური კალციუმისა (CaO) და კაჟმიწის (SiO₂) პროცენტული შემცველობა მასის 50%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

* ცხრილის მაჩვენებლები ეკუთვნის ძირითად და არაძირითად დამატებით შემადგენლებს.

** წმინდა კაჟმიწა მტვერის დოზირება შეზღუდულია 10%.

** კომპოზიციურ პორტლანდცემენტებში CEM II/A-M, CEM II/B-M, პუცოლანურ ცემენტებში CEM IV/A და CEM IV/B და კომპოზიციურ ცემენტებში CEM V/A, CEM V/B კლინკერისაგან განსხვავებული ძირითადი შემადგენლობები ნაჩვენებია უნდა იყოს ცემენტის აღნიშვნაში.

K პორტლანდცემენტის კლინკერი მასის მიხედვით, უნდა შედგებოდეს არანაკლებ ორი მესამედისა კალციუმის სილიკატებისაგან (3CaOSiO₂ და 2CaOSiO₂), დანარჩენი კი ალუმინ და რკინაშემცველ კლინკერის ფაზისაგან და სხვა ნაერთებისაგან. მასითი თანაფარდობა (CaO/SiO₂) უნდა იყოს 2-ზე არანაკლები. მაგნიუმის ოქსიდის (MgO) შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს მასის 5%.

S გრანულირებული ბრძმედის წიდის მასითი წილის ორი მესამედი უნდა შედგებოდეს კალციუმისა (CaO), მაგნიუმისა (MgO) და კაჟმიწის (SiO₂) ოქსიდებისაგან, დარჩენილი ნაწილი ალუმინის ოქსიდისა (Al₂O₃), სხვა

მცირე რაოდენობის ნაერთებისგან. მასითი თანაფარდობა $(CaO+MgO)/SiO_2$ მეტი უნდა იყოს ერთზე.

P.Q – პუცოლანური შემკვრელები არის ბუნებრივი კაჟმიწისა ან კაჟმიწა – თიხამიწის შედგენილობის. ნორმალურ ტემპერატურაზე წყალთან შერევისას წმინდად დაფუჭული პუცოლანები რეაქციაში შედიან კალციუმის ჰიდროქსიდთან $Ca(OH)_2$ და ქმნიან სილიკატებს და კალციუმის ალუმინატებს, რომლებიც დროთა განმავლობაში მაგრდებიან და თანდათან იკრებენ სიმტკიცეს. პუცოლანური ნივთიერებები ძირითადად შედგებიან ქიმიურად აქტიური კაჟმიწისგან (SiO_2) და ალუმინის ოქსიდისაგან (Al_2O_3). დანარჩენი ნაწილი კი შეიცავს რკინის (Fe_2O_3) და სხვა ოქსიდებს. ქიმიურად აქტიური SiO_2 შემცველობა არ უნდა იყოს 25%-ზე ნაკლები. ქიმიურად აქტიური კალციუმის ოქსიდი (CaO) მასში ძალიან ცოტაა.

P – ბუნებრივ პუცოლანებს, აქვთ ვულკანური ან დანალექი წარმოშობა შესაბამისი ქიმიური შედგენილობით.

Q – ბუნებრივი ვულკანური წარმოშობის კალცინირებული პუცოლანები და ასევე თერმული დამუშავებით გააქტიურებული, ფიქალები და დანალექი ქანები.

V, W – წანატაც-ნაცარი მიიღება მტვროვანი ნახშირის ლუმელიდან ამომავალი აირების ელექტროსტატიკური ან მექანიკური დალექვის შედეგად. შედგენილობის მიხედვით არის კაჟმიწისა და კირქვის წანატაც-ნაცარი.

